 ტინის განთავისუფლებისათვის.—პაღესტინაში წმ. სინაის მთა-
 ზედ დავითი აშენებს ტაძარს.—ავრეთე მრავალს ტაძრებს ჩვენს
 მამულში —დავითი მიაქცევს განსაკუთრებით ყურადღებას ხალხის
 განათლებას და ქვეყნის აშენებას.

თუმცა ევროპაელნი იწვევდნენ მუსულმანებს პაღესტინაში
 სასაძმოდუელად, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მეოფი მუსულმანები
 (სელჯუკები) მაინც არ ჰსჩქარობდნენ იქ წასვლას. დავითმა
 ესენი დასტა-დასტა დაამარცხა და მომეტებული ნაწილი განდევნა
 საქართველოდგან სელჯუკები განძვინდნენ და საქართველოს
 დაკარგვა ითაკილეს. დიდ ძალის ჯარით წაშოვიდნენ და დავითს
 დაეცნენ, ძალგანსი და უშიშარი მეფე ესე დავით 1500 კაციო
 მიუხტა მტრებს და ისეთ ნაირად დაამარცხა მათი ჯარი რომ
 იგინი თავადებული წავიდნენ, ქართველთ დარჩათ მათგან კაი-
 ძალი აღაფი.

ამის შემდეგ დავითმა მონღოლმა განაწილებული და გაყო-
 ფილი სამეფოს შეერთება და აღდგენა. უზნელ მეფე კახეთ-



ჭერეთისა — აღსანიშნავი ტყვე ჭეო და სამეოფ მისი შემოუერთა
თავის სამეოფს. ამის შემდეგ დაიბურღა ქვეყნები ერთავ ზღვა-
თა შუა: კასპიის ზღვისკენ დებუნტი შეადგენდა მაშინდელ
დროის საქართველოს მაჰნას ჭესეკე (დებუნტი) იყო შესანიშნავი
სიმაგრე, საცა დადგმული იყო რკინის კარები, მოსაკრებელად
ჩრდილოეთ კავსიის ველურებისა. აგრეთვე დაემოწმიდენ და-
ვითს შიკვანი, რანი და მოვანანი. დასავლეთის მხრით უგან-
სენელი მიჰნა მაშინ იყო ტრანზიზონი. ოსმალები (სელჯუკები)
დავითმა განდევნა ტარსოკარიდამაც და ის ადგილიც თავის სა-
მეოფს შემოუერთა. სომხები მათი ორგულობისათვის სა-
ქართველსადმი დასაჯა: წაართვა მათ სატახტო ქალაქი
ანი.

ასეთი გაძლიერება დავითს იათად არ დაუჯდა: ამისთვის
მან მრავალჯერ შეებრძოლა მტერს: მუსხანში 1115 წ., ტა-
სში 1116 წ., ყადაღში 1117 წ., არეზის პირას 1118 წ.,
მტკვარზედ 1120 წ., მანგლისში და დიდ-გორში 1121 წ. და
მრ. სხვან. ყოველი კუთხე საქართველოსა მოკვითხრობს
დიდებას ამ მეოფისას, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავს
ზარს სტუმდა მტრებს. თვით მისი აზრანება, ტანადობა, უე-
ბარი ღონე და სულის დიდება სელს-უწყობდა მას ამისთვის.
იგი სამაგალითო მეომარი იყო ჯარში. ჯარს მუდამ წინ
უძღოდა, მან არ იცოდა დაღაჯვა და მისმა მკლავმა დაცდენა.
ზმა მას ჭქონდა ლომებრივი. სპარსები და თურქები მუდამ
მარცხდებოდნენ და უტოვეუდნენ მას დიდძალ ალაფს, რომლი-
თაც დავითმა გაამდიდრა თვისი სამეოფი.

ამ ნაიჩის ძლიერებით წაქეზებულნი ქართველნი მიეშველ-
ნენ ჯვაროსნებს და აქ მრავალ ჯერ გაიმარჯვეს. მეოფე წმ.

სინაის მთაზე ააშენა ტაძარი წმ. კატერინესი ქართველთა ღვთის მსახურთათვის.

ასე აღადგინა დამხობილი სამეფო დავითმა. მაგრამ მართლაც ამით არ დასრულდა მისი აღდგენება. საქართველო ამ დროს მძლავრი, აღდგენილი იყო თავის ძველის მიჯნებით და შინაურის განწყობილებით. ამისთვის, ზემოთაც ესტეკით, მან რამდენიმე ჯერ მოახდინა გრებები სასულიერო ზიზთაგან; გამართა სკოლები ქართველთა ურმათა აღსაზრდელად, გამართა სსსტუმრო — საავადმყოფოთუოები დაჭრილთა და წყლულთაგან და ხშირად. თვით ესტუმრებოდა ამ ავადმყოფებს და ზირად თვითონ ემსახურებოდა მათ.

ყველა ამას გარდა დანგრეული და დაჭრეული ციხეები, ტაძრები, და ქალაქები მან ზოგი ხელახლა აღაშენა, ზოგი შეაკეთა და აღადგინა, ყველა ამას მოახმარა ბრძოლის კვლევ ნაშრონი აღათვი.

რდიდესი და უმშენიერესი ყველა მისგან აგებულ ტაძართაგან არის გენათის ტაძარი, რომელიც აღაშენა დავითმა მსგავსად თეოდორის ტაძრისა. გენათის მონასტერი ახლაც გვიმომწმებს დიდებას და კეთილ დღეობას ქართველებისას დავით შიორის დროს. ეს რაძარი აგებულა მსხვილის და დიდროანის ქვით, ერთი ქვა (ცხრა აღახი სიგრძით) დადებილან მასზე თვით დავით აღმაშენებელისაგან. საკურთხეველში ასვენია მოვარაუებული ხატი ღვთის-მშობლისა — ნახუქები იმპერატორის აღექსი გომინისაგან. აქვე ასვენია ურძველესი ხატი ხახულის ღვთის-მშობლისა, ქმნილი წმ. ღუკასაგან და შეკმარული ძვირფასის ქვებით თვით მეფე დავითისაგან და მეფე თამარისაგან. დავითმავე გაამშენიერა ხახულის ღვთის მშობლის ტაძარი (ჭეროხის ტოტე).



მანვე დავითმავუ მონღოლმა შერიგება სომეხთა და ქართველთა საწმენდების მხრით. ამიტომ კრებს მთავრად. თავს-მჯდომარეთ ამ კრების იყო მცხეთის ქათალიკოსი იოანე ამ კრებამ ვერ შეარიგა ეს ორი ხალხი, რადგან სომეხები მაცრადდნენ თავის რჯულზედ და ამის გამო უფრო მეტი განხეთქილება ჩამოვარდა მათ შუა.

მეფე დავითი ცარდაცვალა 1125 წელს. საქართველოს აღდგენისათვის და გაშენებისათვის ქართველნი მას აღმაშენებელს უწოდებენ. და საქართველოს ეკლესიას მას მრავალი ქველმოქმედებისათვის და წმინდა მცხოვრებისათვის ჭრაცხავს წმიდათა შორის. განისვენა ამა წმ. და მეფემ და დაესაფლავა გენათის მონასტრში. გამეფდა შვილი მისი დიმიტრი I.

დიმიტრი I.

(1125—1155 წ.)

ანდროძი დავითისა. — დიმიტრის ვაჟი კაცობა. — სიმძლავრე და მშვიდობიანობა ქართველთა. — ბერად შემოსვა დიმიტრისი. — გამეფება დავით მესამისა და ორთავეს სიკვდილი.

რომ მოუახლოვდა სიკვდილის უახლოესი მძლავრისა და მღვთივე ცხებულსა მეფეს დავითს, აღიჭურვა სინარულით და დასწერა შემდეგი ანდროძი: «მეკდივარ წინაშე უკვდავისა მეფისა, რომელმაც ამ სომეხსა მომანიჭა ეკლესია წყალობანი თვისნი, რომელმაც მომცა შვილი დიმიტრი, უმეტეს ჩემზე აღჭურვილი სიბრძნითა, სიმართლითა, სიმტკიცითა და ვაჟ-კაცობითა. ამისთანა მეფე არს კიდელ უფლისა მართალთათვის დაშთე-

ნიღთა ამ სოფლად. ამასთანა შეიღმა ალაგსო გული ჩქმა სი-
სარუღითა დიდითა.»

ეს ანდერძი დიმიტრიზე მართლა ზედგამოჭრილი იყო. 30 წლის მეუობაში მან ჯამტკიცა მამის იმედი და უმეტეს მამისა გაამდიკრა და დაამშვიდა საქართველო. ჯერ მამისავე სიტოცხლეში და მისივე მოხდობილობით დიმიტრის გაილაშქრა შირვანზე, ქქმნა ომნი და ბრძოლანი, თავის ვაჟ კაცობით განაკვირვა მტერნი, აიღო ცხე უაღამარი, დამარცხა სპარსეთის თავი ჯარი და აიგო ალაგითა და ტყუითა დიდითა. მამის სიკვდილის შემდეგ მან დააწობა განჯა, კარები ამ ქალაქისა წაიღო ტანთში და იქ დასდგა. გახრებული თურქებისაგან ქვეყნა — ტაო, ხელ-ახლა დასასხლა და ჯერ მშვიდობა. მის მეუობის განმავლობაში ქართველთა ხალხი მშვიდობიანად მუშაობდა შინააშაში და გარეშე მტრებისგან უვნებელი იყო.

30 წ. მეუობის შემდეგ იგი ზერად გახდა, მეუობა გადასცა თავის შვილს — დავით III-ს, რომელიც ექვსი თვის მეუობის თავზე გარდაიცვალა. ამავე წელს გარდაიცვალა ბერი დიმიტრიც.

დავით III სიკვდილის შემდეგ (1156 წ.) გამოუდა საქართველოში შვილი დიმიტრი მეფისა — მმა დავით III-სა — ვიარკვი.

გიორგი III, შვილი დიმიტრი I-სა.

(1156—1184 წ.)

უმეტესი გაძლიერება საქართველოსი. — გაგანიერება სამხრეთის მიჯნებისა. — მუსულმანების აღდგომა. — დამარცხება სულთნებისა და ბრწყინვალე ბრძოლანი ქართველთ ჯარისა. — საბერძნეთის იმპერატორის მანუილის ძმის ანდრონიკ კომნენის დასახლება საქართველოში. — დერებენდის და სხვა ადგილების აღება. — ვარძიის და სხვა ადგილების გაშენება. — სიკვდილი გიორგი მესამისა.

ჯვაროსნობის ომი პალესტინაში და შიდადი ნიჭა გიორგი მეფისა მეტად ჭეშქვლადნენ საქართველოს. მუსულმანების უურადლება მიქცეული იყო პალესტინესადმი, რათა ცდილობდნენ რომ ქრისტიანეთ ან წაერთვათ ეს ადგილები. მეფე გიორგი კი ამით მშვენივრად საკვებლობდა. განსაძლიერებლად თვისი სამეფოსა და ჯვაროსნობის ომის გასაადვილებლად იგი ხშირად უტყნავდა ომს ხან თურქებს, ხან სპარსელებს, და საზოგადოთ, მუსულმან ხალხებს.. და ისეთი ოსტატობით და სპარსეტიური სერხით ჭბრძოდა მათ, რომ სულ მუდამ ბრძოლის კელიდგან გამარჯვებული გამოდიოდა.

თვისი მოქმედებანი მან დაიწყო საქართველოს სამხრეთ მიჯნაზე, არაერთის ქვეყანაში, საცა მაშინ სარაჭინები ბატონობდნენ. აქ მან დაამარცხა ბტრები, აიღო სამხეთის დედა-ქალაქი ვაკარშაპატი, აგრეთვე უწინდელი სამსების დედა-ქალაქი დვინი, და ყველა არეზის ხაზიკა ქვეყნები. მანსუ დადიანის მოთავეობით აღდგომილა ქართველთა წინაშე — ანი დაიმორჩილა და ამათ

მტრებს თავსაზარი დასცა. შამში დადანი სპარსეთში გაიქცა და ისე თავი იხსნა.

რამდენათაც ქართველთ ემატებოდათ დიდება და პატივი, იმდენათ თურქებს და სპარსელებს აკლდებოდათ გაკლენა აზიასში. ამიტომ ბევრი კედარ მითითინეს მათ. სულ-ჯუგების, სოცანსის სულთნები შეუერთდნენ ქალიფის ჯარებს და საქართველს წინააღმდეგ ამხედრდნენ. მაგრამ გიორგიმ მათ არ აცაღა. პირველად თვითონ სისწრაფით შეუტია, დაეცა მათ და ორჯულ სედიზედ გაიმარჯვა მათზე. პირველად შირვანში, მეორედ სომხეთში.

ამისთანა ბრწეინვალე მოქმედებით წაქეზებულნი ქართველნი სამაგალიათონი და თითით საჩხუნელებლნი გახდნენ მტერთათვის. სამი სამეფოს მშვიდობიანმა და სახელგანმა შეტობამ ქრთველნი სულაიკად და მატერიალურად გაამდიდრა, გაამდიდრა. დიდძალმა ალაფმა გაუმსო მეფეს ხაზინა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ გიორგი მეფემიჭ ქმნა შესანიშნავი ისტორიაში დაშქრობა-

თვისი მამცა ჯარი მან გაჭყო რამდენიმე წეობად და ერთი გაგზავნა ვანის დასაზერობლად, მეორე არსერუძის; მესამე, მტკვრის გაღმა განჯის ქვეუნიებისა, მეოთხე, განჯას იქით სოლთამდის; მესუთე, ალაზნის მტკვარტონ შესართავიდგან შირვანამდის; თვითონ კა წავიდა ყაჯარანის დასაზერობლად. ყველა ამ ჯარებმა ისე სწრაფად და მალე აღასრულეს თავისი ვაღი, რომ გეგუთოლები ამ გვარ სისწრაფით განცვიფრებულნი იყვნენ, რომა დაინახეს ბრძოლიდგან დიდძალი ალაფით დაბრუნებულნი ქართველთა დაშქარი.

ამის შემდეგ ყველა საქართველს მეზობელი სალსები



უძიებდნენ მეგობრობას ქართველებთან *). ბიძაშვილი დიდის იმპერატორისა — მანუილისა ანდრონიკ კომნენის მშვიდლობიანობის მოსაპოვებლად მოვიდა საქართველოში მთელის თავის ოჯახითურთ. მეფე დაჯილდოვდა შიილთ იგი, როგორც ეკადრებოდა მეფის გვარის შვილს და აჩუქა მას მრავალი მიწები კახეთში**).

უკანასკნელი ლაშქრობა ჰქონდა გიორგის ანდრონიკის ჩამოსვლის შემდეგ წინააღმდეგ დეპონტის და სსკა მთიულეთისა, რომელნიც უჩაღურად ეცემოდნენ ქართველთ ქვეყნებს. უველა ეს ხალხები შეიკუმ დაამარცხა, დაამოწმილა, აღაოხრა მუსკური, შარანაში, აილა ქალაქი შაბურთი, მშვიდლობიანობა ჩამოაგდო აჭაროებაში და მშვიდობით და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

გიორგი მეფე უველა თავის სიმდიდრეს და საწინას ანმარებას საქვეყნო საქმეს: ციხეების და ტაძრების შენებას. განსაკუთრებით უუჩადლებას აქცევდა იგი ვარძიას***), რომელიც იყო სამეფო სატახტო ადგილი და რომელიცა შემდეგში მონასტრად გადაიქცა.

*) ჩვენი მატრიანის გადმოცემით ბერძენნი ინდიელნი, არაბელნი; სულთნები ხორასნისა, სირიისა, მისირისა, იკონიისა, აგრეთვე ხაზარველნი, აღანნი, აბაზგნი და უველა ხალხები მალრუბით მაშრუამდის ეძიებდნენ გიორგის მეგობრობას.

***) მისი (ანდრონიკ კომნენის) ჩამომავალნი, დაშთენილნი საქართველოში ეწლა იწოდებიან ანდრონიკაშვილებად და ხარისხით არიან თავადები.

***) ვარძია არის ახალციხის მხარეს, მტკვრის პირას, ქარძამეთის წყლის შესართავის ახლოს. ეს არის კლდეში გამოკვეთილი, აქვს მრავალი ოთახები, ეკლესიები სენაკები. ეს შენობა „თროგლოდიტურ“ შენობას ეკუთვნის.

ამ გვარი იყო საქართველოს მდებარეობა, წლები 1184 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი III და გამეფდა ერთადერთი შვილი მისი—ასული თამარი.

თამარ მეფე—ასული გიორგი III-ის

(1184—1212 წ.)

I

გამეფება თამარისა.—შესანიშნავნი მხედარნი ამა დროისა.—პოლიტიკური ნიჭი თამარისა.—პირველი ქმარი მისი და ამ ქმრობის შედეგი;—მეორე ქმარი.

გიორგი III სხვა ძე არ ესვა მართ ღდენ მარტო ასული — თამარა, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ დაწესა სამეფო ტახტი. თამარი პატარაობიდანვე მიბაძებულ იყო თავის მამიდას—რუსუდანთან, რომელიც მეტად გამაგდილი და განსწავლული ქალი იყო. თამარმა მისგან შეისწავლა ყოველგვარი დროის შესაფერი სიბრძენი და ისეთი ქალი გამაგდა, რომ თავის ჭკუა-გონებით, სწავლასწრდილობით აღემატა ყოველსა აქნობამდის მჯდომარეთა საქართველოსა ტახტისა ზედა. ამასთანავე იგი აღჭურვილ იყო წარმოუთქმელითა სიღამასითა, ახრებითა და მძაფრის და უმწიგვლო სულითა.

მისი პოლიტიკური ნიჭი, მისი შორს გამჭვრეტელობა ტახტისა ზედა აღსვლასაკუ გამაჩნდნენ. მან მართლაც მამისაგან ჩაიბარა ძლიერი სამეფო, მაგრამ ეს სამეფო ისე მკვიდრ



საფუძველზე არ იყო დაყენებული, რომ მას სულ მუდამ (რასაკვირველია ღირსეულის შეფის ხელში) ესარგებლნას შინაურის ერთობით, განწყობილებით და ამ გაერთიებული ძალით, ერთგულებით უსრუხი ეგო მრავალთა მტერთათვის. ამ გვარნი ნიჭი გამოიჩინა თამარმა და ამან გამოეუბისავე უჩაღ ხელში იგდო ის მძლავრი თავადები, რომელნიც სძირად მოაჩინებდნენ გამოადიდნენ და თავისუფლად მოქმედებდნენ და სძირად ეწინააღმდეგებოდნენ შეფეთაღ. ამ გვარ სუსს ბოლო მოუღო თამარმა და თავის შესანიშნავის ნიჭით და რსტატობით ყოველი ქართველის გული მოიგო და მოისყადა.

სამშობლო ქვეყნის საქმეების განსაკუთრებულად მან მოიწვია შესანიშნავნი გვამნი: ამირ სპასალარად (ვართ. მეუფროსედ) სარგის მხარგრძელი და ამისი შვილი ზაქარია. აგრეთვე მანდა ტურთ უხუცესი ჭია ბერი; მჭურჭლეთ უხუცესად კახაბერი ვარდანიძე, მსახურთ უხუცესად ვარდან დადიანი; ჩუჩიქასად (შეფის სუფრის უფროსად) გამრეკელი თორელი, რომელიც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ გახდა სპასალარად.

ამასვე უამს თამარმა დასვა ბარამ ვარდანიძე სვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერისძე რაჭის ერისთავად; დართალს შარვაშიძე აფხაზეთის ერისთავად; ამუნელისძე ცეუმის (სურუშის) ერისთავად ოდიშის ბედიანი; იმერეთ-ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ბაკური-უმა ძაგანიძე; ჭერეთის ერისთავად ასათ გრიგოლისძე სამცხის ერისთავად ბოლო ჯაყელი; ამ დროს ჭყონდიდლად (მწიგნობართ უხუცესად) იყო არქეპისკოპოსი მიქელ.

ამათ შემწეობით და სიმშვიდითა დავითანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმშნითა და სურავისა დღესისა ხვალისა არ მიგდებისა, იმუნა ზღვით ზანტოსით ზღვადმდე გურგანი-

სა და სპერიდგან დაჩუბანდამდის და ყოველნი ვიკვასიისა ამქრ-
ნი და ამქრნი, ხაზარეთამდი და სკითთადმი“.

მაგრამ მინემ თამარი დაიმორჩილეს და ყველა ამ ხალხებს
და დაიწყოება ომს მტრებთან, ქართველთ შორის მისთვის
ქმრის შეკრება. თამარის მთხროვნელი იყვნენ ძრავალი. მაგრამ
ქართველნი ეძიებდნენ უკეთესს და ღირსეულს შიშს.

ბოლოს ბეგრე რჩევის შემდეგ ქართველნი გახერხდნენ
რუსის მეფის—ანდრეას შვილს გიორგიზე, რომელიც მოიწვიეს
ვაჭარის სანქან სოფლისაბუჯის შიშით ყიფნაყიდაც. გიორგი
ჩამოვიდა საქართველოში და ხალხმა თამარს რუსუდანის შიშით-
მოახსენეს თვისი სურვილი. მაშინ თამარმა გონიერად მოახსენა
ხალხს: «კაცნო, ვითარ ღირს შეუტყობლად ესე ვითარისა სა-
ქმისა ქმნად? არა ვიცით ვარისა ამისთვის უცხლას: არცა ქცევა,
არცა საქმი, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა
და სიქველისა; მანადეთ ვიდრემდის განიცადეთ ყოველთა სიკე-
თე გინა სიღრვევე მისი!» თუმცა ასე მჭევრ-მეტყველურად და სა-
ქმის ცოდნით ევედრებოდა თამარი ხალხს, მაგრამ იგინი წინა-
აღუდგებოდეს და უშეიღობასა მოახსენებდეს და სახლსა მისსა
უნაყოფობასა, დრტვინვიდეს და წინამძღვარსა სხათასა ითხოვ-
დეს და ყოველითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა“. ამის შემ-
დეგ თამარმა თანახმად ხალხის სურვილისა და დასამტკიცებლად
თვისის გონიერებისა და შორის-გამჭვრეტელობისა შეერთო გი-
ორგი.

ეს ამბავი რომ შეიტყეს ორთა ძმათა ოსთა მეფის შვილ-
თა, რომელთაც სხვათა შორის უნდოდათ თამარის ქმრად გა-
ხდომა, ვუღს შამოყვარათ და ერთმა ვერ გაუძლო სევდას და
შინ წასვლისას მოკვდა ნიქოზს და იქვე წმ. რაფაელის ტაძარ-
ში დიდის დიდებით დამარხეს.



თამარის ქორწიანების შენდევ მოხდა დაშქრობა. მოთავედ ჩვენი ჯარისა იყო თვით გიორგი. ამ ხელათ გადასქქეს ქართველთ ჯარებმა, და აიღეს ყარსი, კახნიფოლი; მტირე ჯარით გამრეკულმა განდევნა ოსმალნი ძაღლის-ხევიდგან (ზალაკაციოდ-გან;) მხარგმელმა მთარა დვინის და სურმანის ქვეუბნები, სხეებ-მა განაძეკეს მტრის ჯარები კლარჯეთიდან. აჯანყებულნი დვინელნი გიორგიმ სელახლად დაამარცხა და წაართვა მათ კაი ძალი ალაფი. აქედგან წავიდა არაჩატისკენ და განახნია დიდ-ძალი ოსმალთა ჯარები. დაბრუნებისას ქართველთ დაეცნენ გელაგუჩის ოსმალნი, მაგრამ არც მათ მოუდრიკეს თავი ქართველებმა. ამის შემდეგ გადასქქეს განჯისკენ და მდინარე არუსის ნაპირებისკენ.

ასე რომ მშენი რად მიდიოდა გარეშე საქმენი თამარისა. საუბედურათ, ოქსანური ბედნიერება და მშვიდობიანობა დაიწყო შეფის სსსახელში. ამას მიხეცი იყო გიორგი, რომელიც თანდათან შეეხვია სიმთვრალეს, გაიწყინა სრულიად, „რამეთუ სიმთვრალეს შინა იყო მრავალთა სძაბელთა და უშეერთა საქმეთა ქმნად რომელთა ნაშეტნავ არს აღწერად“. შეუზნდნენ კაცნი მის გასაკურნებლად, მაგრამ «გუგუნებდით ბაბილოკანსა და არა იყო გურნება არათუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძვირესთა მიმართ იყო და კაცნი უბრალოდ გვემნა და ასეთთა ამოგდებითა ტანჯისა».

ამის შემდეგ თამარმა სახალხლო გამოაცხადა, რომ იგი ამისთანა გარყვნილ კაცთან კელარ იცხოვრებს, მიუბრუნდა გიორგის და უოსნა: «მე არა მიძლავს ახრდილისა მრუდისა ხისასა გამართვად და უბრალოდ განუყერი მტკეპსაცა, რომელი აღმეკრა შენშიერა, თამარი განშორდა მას და რუსუდან დედოფალმა და ყოველთა წარჩინებულთა ჩასკეს ნაკში და კოსტან-

ტინანოლში გაგზავნეს. ასე დაიწყო პირველი ცოლ-ქმრის
თამარისა.

ამის შემდეგ თხოვნისმებ სსსუელიერა წოდებისა, აწნაურ-
თა და ხალხისა თამარი მეორედ უნდა შეუღლებულიყო. ხელახლა
მრავალნი გამეხინდენ მსურველნი თამარის ქმრობისა. სხვათა-
შორის საბერძნეთის იმპერატორის შვილი, ანტიოქიის მთაქ-
არი ბემუნდი და მრავალნი სუფოსები. მაგრამ ყველა ამათგან
არც ერთი ამოწყვეტილი არ იქმნა. არამედ ამოიჩინეს ქართველ-
მეფეთა ნათესავი დავით სოსლანი ბაგრატიონი. მასთა მეფის
შვილი, რომელიც წუსუდანს თვისის უშვილობისაგან მოწყვას
თავის სასლში აღსახდელად. ეს დავითი მოიყვანეს და დიდ
რუმში ქარწილი ქმნეს შესტუვისი და შემსგავსებული ხელმწი-
ფობისა და შარავან დედაობისა მათისა. შემდგომად ამისა „შე-
შავიდექ თბილისად და დასხდენ ტახტსა ბედნიერსა მანი მნა-
თობისა, მანა მსენა განმანათლებელი ყოველთანი.“

დიდებულთა ამთა შეუერთგან ემინოდთ ყოველთა მტერთა
და ვერ უბედავდენ შემას. დავითი იყო მინიჭებული ყოველი
სათხოვით. იგი წავლობისა ყოველსა მშვიდდამსანსა, ცხენოსან-
სა მკვირცხლსა, მოასპარეხესა, მწიგნობარსა ყოველთა ნასწავლ-
თა, ატრეტვე ხელთა სიკეთითა...»

ამავე დროს მოკვდა საქართველოს კათალიკოზი
ჰეონდიდელი მიქელი რადგან იგი ყველას სძულდა ამა-
ტომ არავის იგულავა მისთვის. თამარმა მოიწვია ვარკ-
ჯიდიგან მსწავლელი კაცი—ანტონი და ჰეონდიდელად დასვა.
ამსახბაში რუსი გიორგი კონსტანტინობლიდგან ჯარით წამო-
ვიდა საქართველსკენ და ტახტის მობრუნა მონიღომა. შამო-
ვიდა ყანხუქაღაქში (არზრუმში) და გადობირა თავისკენ ზოგი-
ერთი თავადები. სხვათა შორის გურსანი მმართველი კვანკუთი-



სა და შავშეთისა; ბოლო შმარტველი სამცხისა; ვარდან დადიანი, შმარტველი იმერეთისა. ამ ვარდანმა შიბიბიწა თავისკენ აიხაზნი, სვანნი, რაჭველნი, არგვეთელნი, მეგრელნი. ყველა ესენი შიემს-
 რენ გიორგის და გვერთში სამეფო ტახტზე დასვეს. ამის შემ-
 დე ერთი ნახევარი აჯანყებულთა და რაჭველთა გადავიდა ღიბ-
 ზე, გააოხრა ქარაღი და შოაწია ქ. გორამდის და ნაჭარმაგე-
 ვამდის; მეორე ნახევარი რგინის ჯვარზე გადავიდა ციხის ჯვარ-
 ში და დასწვა რძინასე. ესენი შადილენენ თბილისისკენ.

გაიგო თუარა თამარმა ასეთი შოქმედება იმერთა, შეჭვ-
 რისა ჯარები და გამრველის წინამძღოლობით აფრინა სამცხის-
 კენ, საცა შეკრებილიყვნენ მტრები. ნიაღის შინდარში მოხდა
 ბრძოლა და აჯანყებულნი დამარცხებულ და განხეულ იქმნენ. ახლა
 კი შინვდენ თავის შედომას მერნი და შატრება სთხოვეს მეფეს*)
 თვით გიორგი დაატყვევეს და მოჭკვარეს თამარს, რომელმაც
 აშატია ყველა აჯანყებულთა, და შირად გიორგისაც დახაშულ-
 ბანი. და შისცა დედოფალმა სიმტკიცე ყოველთა მუნ შეოფთა,
 შირველად რუსის უგნებელად გაშეობისათვის, მერმე შის ჟამი-
 სს არას შეცოდებისათვის, არცა შენახებისა და ვარდანდისა.
 ამის შემდეგ რუსი „წარვიდა მასვე, შისსა სვეუბდურსა გზასა
 და შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სინარული საქარტველთა
 შინა.

*) ქართველი თამარს უწოდებდნენ „მეფეს“ და არა „მეფას“, შისის სიმძლავლისა და სიქველისა გამო.

II

გაძლიერება თამარისა. — ალება ქალაქებისა და ციხეებისა. — დიდ-
ძალი ალაფი. — ყარსის ალება. — სულთნის ალეკპო რურედიანის შე-
ბმა. — მისი წერილი თამარისადმი. — ამის პასუხი. — დასჯა ალექ-
სი ანგელისა. — დაარსება კრაპიზონის იმპერიისა. — სიკვდილი
დავით სოსლანისა. — არდებილის სულთნის დამარცხება — ხორასან-
ში გალაშქრება. — ზ. მხარ-გრძელის სიკვდილი. — პირველი ათა-
ბაგი. — განდგომა ფხოველთა და დიდოელთა. — დასწელება თა-
მარისა, მისი უკანასკნელი სიტყვები და სიკვდილი.

სახელი და დიდება თამარისა უმეტესად გაძლიერდა მეო-
რე ქმრის, დავითის შერთვის შემდეგ. მან მეორედ დაამარცხა
საქართველოში შემოსული რუსი — გიორგი. და გამოიხანა დი-
დი ძლიერება სპარსეთის ომში და ნურედიანის წინააღმდეგ ბრ-
ძოლაში,

მაშინ როდესაც სისარული და ზეიმი იყო სასახლეში ქორ-
წილის გამა, მოვიდა ამბავი, რომ ყველა სპარსელნი მისულან
თავის სალიფასთან, უთხოვნიათ შეწყება და ნება-რთვა წინააღმ-
დეგ თამარისა; რომ სალიფასაც ყოველსა შინა სპარსეთსა დაუ-
რიგებია ოქრო, რათა შეკრიბონ ჯარი ურიცხვი. და მის ბრძა-
ნებისამებრ იკრიბება ჯარები ინდოეთიდან, სამარეანდიდან მო-
კიდებული ვიდრე დარუბანდამდის, ესე იგი იმდენი ლაშქარი,
რომ მათი რიცხვი არცაჲგინ იცოდეს და „არცაჲცა ერთსა თემ-
სა დაეტოვდეს“. ამდენი ჯარები შეეკრიბათ, სალიფას ძვირთა-
სი დროშა წამოედოთ და დასანაკებულიყვნენ ადარბადაგანს და
მხლოდ „მაშინ განეტყვიანათ წაკიდება თვისი“.

რამწინს ყოველივე ესე ესმა თამარს, უბძანა ანტონი ჭყონ-



დადეს, არს ავითა გუფითა და არცა ღუდა კანტონი სიტყვი-
 თა: ისწრაფეთ და წყნად და მამაცურითა სიტყვითა მიმოდან-
 დეკით ბრძანება, რათა მსწრაფად შემოებნენ მხედრობა... ესე
 უბრძანა და ბრძანება საჭმე იქმნა და ათსა დღესა ში ა ვითარცა
 გრძელი წავადგენთა მტკუნინდა ყოველი მხედრობა, ყოველითურთ
 საკსენი სინარეუათა და აღივსო სპითა თამარისათა მტკუნის
 შირა თილისით ყარაღაჯადის, ალგეთის შირი, ქციის შირი და
 ბერდუჯის შირი... ყველა ეს ჯარები მავადნენ სომხეთში და
 იქ იხილა ივინი თამარმა და ტვილ, მამაცურ სიტყვით მიეგება
 მათ:

„მძანო ჩემნა, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გუფნი თქვენნი
 სიმრავლისათვის მათისა და სიმტკიცისათვის თქუნასა. რამეთუ
 დამტკიცებთ ჩვენთანა არს... მოიგონეთ გუფონისაჲს ურაცხო მა-
 დასწავლათ დახრცვა... მხოლოდ დამტკიცებთა მიქნდვებით და გუფნი
 თქვენნი სიმართლით იპყრებით წინაშე მასსა და სასაგება თქ-
 ვენი ყოველი ჯარისა მიწართ ქრისტესისა იყავნ: შეისწრაფეთ
 ქვეყნად მათად, შეწევნათა ყოველად წმ. ღვთასმძლიელისათა
 და ძალითა უძლეველისა წარმოემართებით.“ ამის შემდეგ წა-
 უძღვნა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭერხდად-
 ღი.

ამ საინად გაძხევებუფი ჯარი ორად გაიყო და ორის
 მხრით იერიშით მივიდა მტერსუ. პირველად მივიდა მტერ-
 სუ ზაქარია მხარ-გრძედი და რაგა იგი ურაცხო მტერთაგან
 იძლეოდა, უცებ შემოუტია მათ უჯანაგან დავით სოსლანმა და
 შეის დაამარცხა დაღაღუღნი მტერნი და ტუვე ჭეო მრავალი
 მათგან (12,000 კაცი) და ხელში იგდო ყველა მათი ქონებანი,
 მრავალნი დროშანი სალიოვას დროშითურთ. ბრძოლის ველსე
 მტერს დარჩა ურაცხო ოქროვერცხლის, თვალუფლობის და ძვირ-

ფაის ქვების კარდა 2.000 ცხენი, 17.000 ვარი, 15.000 აქლუმი, უკუდა ესენი დატვირთული სურსათით და სხვა დასხვა ნივთიერებით ამდენის განმკლავებით და დიდებულებით წამოვიდნენ ქართველნი და მიუღაცეს თამარს სახელგანთი გამარჯვება.

ამის შემდგომ თამარმა გაკვირვება ჯარები ყარსის სახლებად. დროთა ვითარებისაგან ეს ქალაქი მტრებს დაეჭიროა. რამდამ მოუახლოვდნენ ყარსს ქართველნი, იმავე წელს მტრები გაიქცნენ და იგი დარჩათ ქართველთა ყარსის მმართველად დასვეს იოანე სახელისედი ჯაყელი, და თვით დაბრუნდნენ ქართლად. აქ დიდ ხანს არ მოუჩვენია ჩვენ ჯარს. მალე მათ წინ აღუდგა საშინელი მტერი ჯვაროსნობისა — ალექსი*) ნურდინი, რომელიც ასეთი კადნიერებით და ამბობით სწერდა წიგნს თამარს და გამოათხოვდა მას ბრძოლის ველზე:

„მე ნუქარდნი, სულტანი ყოვლისა ცაის ქვეშისა. უმაღლესი, მიმსგავსებული ანკელისთა, თანმდგომი ღვთისა, მოგდინებულა დადისა მოჭმედისაგან, მოგამძნობ მკურს ქართველთა თამარს: ყოველი დიდი რეგვიანა: შენ კობრძნებთა ქართველთა აღებად ხრმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლქითა ერისა დასოცად მუსულმანთა და კვლად ნათესავსა ზღა თავის-უფალსა დადებად ჩრკი უმებრისა. აწ მე მოკალ რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განწვართო შენც და ერიდა შენი არაოდეს აღებად ხრმლისა, რომელი დმერთსა ჩვენთვის უბოძებია: ხოლო ცხორებით იგი ოდენ ვატყუნო, რომელმნ

*) ალექსი იყო მაგარი და მდიდარი ქალაქი ასურისტანში. ეს ქალაქი მე X საუკუნეს ეკუთნოდა ეგვიპტის სულთნებს. სულთანი ნუქარდინიც აქაური იყო.

უწინარეს მოსკლას ჩემის თაყვანი მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღვიაროს ქადაგება მსჭმად მოციქულისა და უნაჭუეს სჯულისა შინი და სელთა თვისითა იწუას წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიცხთ ცუდი სასკობა; აწ მოკლადი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შემთხვიე სპასითა“.

ნუქარდის ჭყავდა 800,000 და ამთგან 100,000 იყვნენ ცხენოსანი. ამ ჯარში მოკრკვილნი იყვნენ მცხკრკებიანი მესობოტომიიღვან, გალეტონიღვან, ისაკრიღვან, კაპპადოკიიღვან, დიდი სომსკეთიღვან, ბითინიიღვან, ზაულაკონიიღვან და სხ. ადგილებიღვან.

ამისთანა ძალზე დაიძებუჟმა ნუქარდინის მოციქულმა, რომცა „შეიყვანეს თამარს წინაშე ამაყად სთქვა: „უკეთუ მეჟემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იზყრას სულტანმა ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტანისა.“

ამ სიტყვებმა ადელეკეს სარდალი ზაქარია და ეს შეისწამოდა და განწინა ისეთი სილაქი, რომ მოციქული „დაეცა ზიკსა და ვითარცა მკვდარი დაეღვა“.

წივიტისა თუ არა თამარმა ამ გვარსა სწყენი წყრილი ნუქარდინისა გასცა ბრძანება მოკრკვიებინათ ჯარები.

„მაშინ მოუწოდეს სპათა, იმერთა და ამერთა, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდის და ბრძანება და წიგნები ქრლად და მალე-მსობოლთა ცოტათა დღეთა შინა მალე შემკვრიბეს, ვითარცა ვეფსენი სივისკასათა და ვითარცა ლომნი გულისთა... შეკრბეს ჯავახეთს და არლარს ჭყოვნეს... შეკვდრა (თამარმა) სოსლან დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ხმარებული და წარგზავნა ვარძიით ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძღოდა წინა...“ ასე მივიდნენ ბასიანამდის, იქ იყვნენ ერთ დღეს და „მსოფლად მამინლა მოციქულნი წარგზავნა სულტანისა და

წარატანს თან მოციქული თვისი და მიუწერს ნაცვალს წიგნისა ესრეთცა:“

«ძალისა ღვთისა ყოვლისა მშყრობლისასა მინდ აბილმან და მარადის ქალწულისა მარიამას შეკედრებულმან და პატრონისა ჯვარისა სასაოებით მოსაგებან, წავიციოთჲ ღვთისა განმარისსებელი წიგნი შენი, ჳი ნუქარდინ და ვსტან სიტრუენი შენნი, რათა ბჴე ღმერთი იყოს; არა გასმიკას, რამეთუ ყოველი ცრუდ მოფუტავი სასჯელსა ღვთისა მის მაერ აღინცოცოს: შენ რქროთა შეკრებულთა სიმრავლისა შევირეთა მინდობილხარ უმეტარი მსჯავრსა ღვთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩეთა სიმრავლესა, არცა რასა სვასა ვაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძასა ღვთისა, ყოვლისა მშყრობელისა და შეწკვნასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ ჰგებობ: ესე — რა ვითარი შემოკეთვალა, წარმომივლენიან მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყვანის ცემად, არამედ დამსობად შენდა ზვავისა ძავის და ამწარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღვთისა მიერ არდა რა უბობად სახელსა მისსა; იყავნ ნება ღვთისა და ნუ შენი; ხოლო მე ვუწეო დახსნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წმმომივლენიეს მსახური ჩემი რათა წიგნისა შენისა პასუხი აღრიე მოგართვას და განგკრძალოს. რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ესე რა კართა შენთა ზედა დგანან“.

ამის შემდეგ ქართველთა ვარძმა დაუყოვნებლივ თაყვანი სცა და უამბობს წმ. ჯვარსა — ბედი ცხოველისასა. გამოეთხოვა და გამოემშიდობა თამარს და მივიდა ბასიანს. საცა იყო დაბანაკებული სულტანი და ჩახეს იქ რიცხვი ცხენისა, ჯორისა, და აქლემისა ურიცხვი, კარვები და სარა-ფარდაგები, რომელთა მინდორი იგი ძლივს იტეკდა. მუნ (აღვიდასა ბოლოსიტეკად წოდებულსა) დაწეეს ქართველთ თვისი რაზმები და მუნ წინა

მარტოადა იყო ჩაქარია მხარგრძელი, ამირ-სენსალარი და ახალ-
 ცახელი ძალა და იკანე, და სხვანი თორქელი და ერთ გერძო
 აიხახნი და ერთ-გერძო ამირნი. ჰერ კანნი და ვითარ იხილეს
 სულტანი ცოტად ჩხენი ააჩქარეს და მიმართეს. „მოჰსდა ომი
 იფიცელი და ძლიერი, განგრძელდა მეფეარ ყამ. ანახდათ
 ეგოდენი მტერთა სიმრავლე განსქდა, იძლია და დაი-
 განტა

განდეხულ და განფანტულს მტერს ქართველთ „დეუნა
 ურავს, ჰხონდას ჩამოჭერიდეს, იზერობდეს და სიმრავლისაგან
 მტერი ვერ იფიცოდეს, ანამედ ურთიერთან დასორკუნვი-
 დეს.“ მტერნი ამ გეგად სრულიად დამარცხებულ და დეხნიდ
 იქმნენ, მხოლოდ ქართველთა ჯარი მტერედ დაზიანდა და ანტ
 ერთი კარგი შეთვისგან შესწავლებული კაცი მოგვდა».

ქართველთა ღარმა იმდენი დავლა, რომ „არ იყო განცდა
 მისი სიდიდითა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელთა, ნაქსოვთა
 სიმრავლე აუნაცხდნი, სასმურნი ოქროსანი, თვალ-მარგალი-
 ტოვნანი, ღანკები, ზინკები, ღაგვინებისა და ქვანებისათან
 ყოველითურთ საესთა მიუწდომლითა ალაფითა; ხელთ ცხენ-
 ვორსა და აქლემისა სიმრავლე და გრავთა და სოფანულთა სი-
 მრავლე და ურინკეულობა, რამელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს.
 რაქითუ საესე იყო ყოველი საბანაკო მათი.»

ამდენას დაკლავთ ქართველი ჯარი დაბრუნდა და მოვიდა
 თბილისს, საცა თამართან ერთათ იდღესაწაუელს ძლევა მტერ-
 თა ზედა ტყვეთა რიცხვა იმდენი იყო, რომ „სასა სპარსა
 ერთი ქრისტიანე ძლივ მიხვდებოდა წარმომეგანელად“. აივრო
 თამარის ხაზინა სიმდიდრითა. სასახლეში ამის შემდეგ სხვა
 ჭურჭელს აღარ ხმარობდნენ თუ არა ოქროს და ვერცხლის;

მეზოსი ქვები და აკუნდი იმდენი იყო, რომ «საწყაუთ რეკუ-
დნენ» მას.

ეგელ ეს დაკლა, აურაცხელი ალათი, თამარმა მოანმარა
ქველ და კეთილ საქმეებს. ალექსანდრიდგან (ეკვიპტუში) მო-
კიდებული ლუბის სინაიმდის და მათ კერძოთა ეკლესიათა,
მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიგიოთხვიდის, ხალხ იე-
რუსალიმისთვის რადდა სახმარ აჩს თქმ დ, რამეთუ წარგზავნი-
დის ამათ ყოველთა შინა ბარძიმ-თუშხუშებსა ეკლესიათა და
საწმიდთა სასურველსა და მონაზონთა და გლახკათათვის რქ-
როთა აურაცხელთა; ტყვენი განათავისუფლნა და ხარკი
ერსა თვისსა უკუნ სცის და ყოველი ჭირი დაჭირებული
აღიღოს მათგან; კვლად კერძოთა ელ.დისათა და მთა-შვიდი-
სა, გრეთვე მკედღნიისათა, პიტრიღონს, კერძოთა თრავისათა
და კოსტანტინოპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან;
და კვლად ისაგრავს, კურთხეთს და ყოველთა მათ სანახებთა.
ავისა შოისათა (perhoropix), კვიზრისათა, ესე ყოველნი აღ-
გისა ქველს საქმიითა...

მაშინ რადესც თამარი თვისის ძეგვა-მოსიღობით იდი-
ღებოდა ყოველგან და როცა იგი უხვს მოწყალებას აძლევდა
ქვრივ-ოხრთა, მონაზონთა და მონასტრებთა, მაშინ ბერძენთ
ამბერატორი ალექსი ანგარი, რომელმან ძმასა თვისსა ისაგ-
სა თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო“ (წართვა) ად-
ჭურვილი ვერცხლ-მოყვარებით სწავრავდა და სწარტვადა თამ-
რისგან გაბედნიერებულთ მონაზონთ და მონასტრების ქონებას
ისაკუთრებდა. „სცნა რა ესე თამარმა, მაგიერი წართმეულთა
სხვა გაუგზავნა მონასტროთა და განრისხდა მეფეთა ზედა ბერ-
ძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვისმე ღისთაქითნი და წა-
რეღეს ღაზია, ტრანზონი, ღიმონი, სამასონი, სინოპი, კერ-

სუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლას და ყოველი ადგილია თუ-
ბლანდონისა და პონტოსანა. აქ დაიწყო ტრაპიზონის იმპერია*)
და მმართველად განაწესა ნათესავი თვისი ალექსი კომნენისი
(კომნენი), ანდრონიკაშვილი.

თამარმა თვით თავის საკუთარ ქვეყანაში აწვ კრთი ეკლე-
სია, ტაძარი ან დასტოვა შეუწყენელად. ეკლას ეკლესიას ის აქ-
ცედა დიდს ყურადღებას. დასგრეულს ეკლესიებს, ცინებს აგ-
რეთვე ახლებდა და ახლებს ამენებდა. გაჭყავდა უწყალო ადგილებში
ახლები, რუები. იმან ერთს ადგილას ცხოვრებას ან იცოდა, ხან
ცხოვრობდა კახეთში, ხან ქართლში, ხან იმერეთში. აწვ კრთი
კუთსა საქართველოსა არა რჩებოდა თამარს უხილველად.

სარჯვან მოჭქონდათ თამარისათვის გარდა მთიულ ხალხთა გან-
ძელთ, სასტეკელთ, კარნუქაღაქით (არსრუმათ) და კონიკით.

როდესაც დედოფლის გავლენა სხვა-და-სხვა ხალხებზე და
მისი დიდება აღვიდა უმადლეს წერტილამდის, და როდესაც მან
ყოველი თვისნი ცოდნანი და ძალნი სამშობლო ქაყანის ში-
ნაურ საქმეებს მიაწრო, მაშინ მოკვდა დავით სოსლანი რომლი-
საგან თამარს დარჩა ვაჟი გიორგი—ლაშა და ასული რუსუდანი.
ჩვენს მტრებს გაუხარდათ მასი სიკვდილი და აფერხდნენ. მო-
ინდომეს თვისი დიდების დაბრუნება და ჯავრის ამოყრა.

შირველი ადღა არდებილის სულტანი, რომელიც თარუ-
ლად შემოვიდა ანას ქალაქში, დახლცა მრავალი ეკლესიაში მღო-
ცავი ხალხი. ეს გაიგო თამარმა და მაღაად გაგზავნა თავისი
ჯარი თვით არდებილში; ქართველი, აილეს ეს ქვეყანა, მრავალი
დახრცეს (12,000). ტყვეთ წამოიყვანეს სულტანი და მისნი

*) ტრაპიზონის იმპერია არსებობდა ვიდრე 1461 წლამდის. და
ამ წელს მას ბოლო მოუღეს ოსმალოთა.

ტოლნი და შვიდნი, გარდა უჩინცვი ძვირფასეულთა, აქლემთა, ჯორთა ცხენთა და სხვათა.

რადგენივე ხნის მშვიდობიანობის შემდეგ, თამარმა სახარია და იუნე მხარგრძელების ჩნკვით, გაისტუმრა თავისი ჯარები სპარსეთში სოჩანის დასაპყრობლად. დიდძალი ქართველი ჯარი გადავიდა მდ. არეზზე და მიაღწა თავრიზს, რომლის მცხოვრებნი განგრეთის და ძნწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრიზისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი მიმდგომნი თავრიზის ქალაქისანი; მათნი განიხრახეს რათა ხარკის მიტეპით და ძღვენითა და შეკრდომითა და ოენარის თხრებითა და ამშვიდონ პირნი ქართველთა სპათანი; წარმოაგდინეს მოციქულნი და ითხოვეს მშვიდობა ანა მოახრება ქალაქისა მათისა; აღუთქვეს ძღვენი უჩინცვი. დასთანხმდნენ პირთანაჲსე ქართველნი და მერვე «მოვიდეს ყაენი, ხოჯანი და ყოველნი თავადნი თავრიზისანი და მოიღეს ოქრო, ვერცხლი, ღარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზრდელნი გამსაყოფელნი ღაშქართათვის; აღაგესენ დიდნი და მცირენი.»⁴

აქ თავრიზს საქარია მხარგრძელმა დასვა თავისი მმართველნი, თითონ კი წაუძღვა ჯარებს: გაიარეს ადრანდგანის ქვეყანა და მიმართეს მანას... რამწამ მანას შედიქმა გაიგო ქართველთა მოსულა, მოექცა თავრიზელებსაკით: უჩინცვი საქონლით იყიდეს მშვიდობა. საქარია აქაც დასვა საკუთარი მმართველნი და წაჰიდნენ და შემოეკრტუნნ ერთ მცირე მაგრამ ძლიერად გამაგრებულ ქალაქს — სანგას. ამ ქალაქელთ ოციცხლად იწყეს ბრძოლა. მაგრამ მალე ქალაქი აღებულ და მცხოვრებნი ხარჯ დადებულ იქმნენ. ამის შემდეგ ქართველთ აიღეს სვანის ქალაქები: ყაზმინი და გურგანი.

ამის იქით ქართველნი ველად წავიდნენ, რადგან დიდ ძალი



აღაფი ამბობდა მათ შემოიქცეს გამარჯვებულნი და სიმდი-
დრითა შემოსილნი ქართველნი: მაგრამ დაბრუნებისას გაიგეს,
რომ მანას შელიქს დაუხარცია და ძელსა ზედა ჩამოუვიდნია
ქართველთ მცველნი. ესმა ესე ზაქარიას და ივანეს: დიდად გა-
მწაზდეს. შეიბურეს შელიქი და ყოველნი სახლეუნი და სათუ-
საგნი მისნი და საკვდიდ დასაჯნეს, თვით იგი და შეილნი მის-
ნი, ტყავები დაჭკადეს და ძელსა ზედა ჩამოჭვიდეს: ხოლო ქა-
ლაქი მოაოხრეს, მოწვეს და ტყვე ჰქვეს, ხოლო სიმდიდრე
რომელ წარმოიღეს შეუძლებელ არს აღრიცხვა მათი».

ამის შემდეგ წამოვიდნენ ადაზნადაგანს და გამოკლასას
პირველად უყანელთ მერმე თავრიზელთ მოართვეს ქართველთ ჯარს
დიდი ძველი და სიმდიდრე. ამ ქვეყნიდან გადმოვიდნენ
ხახინეკანს და მშვიდობით და დიდებით მოვიდნენ თბილისს
წინაჲ თამარისა, რომელიც გაეკუბა მათ ზემით და დიდებითა.
იყო ხმა ბუგთა და დუმბულთა. მერმე შევიდეს ისანთა და და-
ჯდა მეფე ტასტას ზედა სამეფოელსა. შეუძვა ამირ-სპასალარი
და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მიიღეს არმა-
ლანი ურაცხვი, და დადვეს წინაჲ მეფისა: განკვირდა მეფე,
რომელ არავის ქართველთაგანსა ენახეს ესომნი სიმდიდრენი
აურაცხელნი, თვალნი და მარგალიტნი. ხოლო თამარი აღასრუ-
ლებდა ლიტანიონასა და განსცა მრავალი ობოლთა და ქვრივთა
ზედა და ეკვლეოსიანი აღავსნა სიმდიდრითა და ღაშქართა ზედა
განყო საჭურჭლე დიდი».

მაგრამ, სამწუხაროდ ამისთანა სისარული დიდხანს არ
გაგრძელდა. ძველა-შემოსილი და სპასალართა შორის უნიჭი-
ერსი კაცი ზაქარია, ძე სარგის ამირ-სპასალარისა გარდაიცვალა
და ჰქმნეს გლეჯა და ტირილი დიდი. ზაქარიას დაკარგვა დი-
დად უღირდა თამარს და საქართველს, რადგან მისთანა ერთ-

გული და ნიჭიერი მეომარი საქართველოს სხვა არა ჰქონდა. მოიგლეკეს იგი და მეძე, თამარმა მოიწვია ძმა საქარისი ივანე, მსახურთ უხუცესი და ამირ სპასალარობა უბოძა. მაგრამ მან არ ივისრია ეს თანამდებობა და უთხრა მეფეს: «მრცხვეს ნაცვლად მისსა დეიძად, არამედ ათაბაგობითა პატრივ მეც, რამეთუ საქართველოსა შინა არა არს ესე წესად თქვენ მეფეთა წინახე მეფოსა. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემსედა, ვითარცა წესი არს სულტანთა რომელ მეფეთა გამწრდელთა და სულტანთა ათაბაგობით უხმობენ». უსმინა ესე თამარმა და ათაბაგობა უბოძა. მსახურთ უხუცესად კი დანიშნა ვარამ, საქარისა გაგლეხისძე.

ამის შემდეგ თამარი რაღაც მოგზავრობდა თვის სამეფოში და ყველას მამსაკებ ეაჯერსებოდა და უპატრონებდა, მკვიდა აზბაკი, რომ იხრკვენი და დიდოქნი განდგნენო, შვიის შეავროვა ჯარები და ათაბაგის წინამძღვლობით გაგზავნა მათ ყველა სამ თვეს იყო ბრძოლა. განდგომილნი დამარცხდნენ და დასჯილ იქმნენ და სამარადისო მონაწილეობაში ყოფნის შირობა მისცეს.

სამწუხაროდ, რადგანაც ცის ქვეშე არა არის რა უსრული, აგრეც ქართველთ სიხარულს და ბედ იღბაღს, და წარმატებას ბოლო მოუღო. ამხედრობათა შინა განგრძობილ დედობრივ უძღურებისაგან ნაჭარმაგვეს ავად გასდა თამარ და თბილისს კუბოთი წამოიყვანეს. ვერა მეურნაღმა ვერ მოაჩინა იგი: დღემან მისმან იწყო მიდრეკად, მზემან დასკლად, ჭაკრმან სხვად თერად უფერულობა და ცისკარსა დღისსა ზედა იწვეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა, დაწვთა მათ ვარდოვანთა იწვეს დაჭნობად; და თვალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდეთ მიმართეს, ხელთა მათ, მისურებისაგან გლახაკთას

ანადის დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად; ფერხთა იწყეს შედრეკად, და ყოველი ნიშნი ცხორებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს“. თამარს კარს ეხვივნენ ყოველი წოდებისა და ღირსებას ხალხნი. თავადნი აზნაურნი, გლეხნი, სამღვდელონი, გლახკანი და ობოლნი და ყველანი ქვითანით სტიროდნენ მეფის დაკარგვას. ბოლოს სიკვდილის წინა წამებში სხეული წამოიწია და მიჭმართა ხალხს: «ძმანო და ჩემო შვილნო, მე ესერა მივიწოდებო მსაჯულისაგან სპინელის... გოგადრები ყოველთა წათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მასსკნებელ ჩემდა. აჭა ესე-რა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტყებ, რომელი მომცნა ღმერთმან. შვილნი ჩემნი გიორგი და რუსუდანი: კბანი მიიხვენით ჩემ-წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი ბოლოს ყველას გამოემშვიდობა და უკანასკნელად სთქვა: ქრისტე და ღმერთო ჩემო; შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ შეწყმუნა, და ერსა ამას პატროსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა და შვილთა ამთ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ და შენვე სულსა ჩემსა “ და ამით აღესრულა მზე ქართველთა, იანუკის 18 დღესა, 1212 წელსა. იმეფა სულ 28 წელი.

გვამი თამარისი რამდენიმე დღეს დასდევს მცხეთის სობორლოში და მერე წაიღეს და საუკუნოდ დაასვენეს გელათის ტაძარში.

III

შედეგი თამარის მეფობისა ქართველთა ერისათვის და ქრისტიანობისათვის საზოგადოთ. — ქართული ლიტერატურა. — ოქროს ეპოქა ქართველთათვის, — მოსე ხონელი, დილარგეთ სარგისთმოგველი, აბდულ მესია შავთელი, ჩხარუხაძე და უკვდავი შოთა რუსთაველი.

თამარის მეფობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს და ქრისტიანობას საზოგადოთ. რადგან თამარმა დაუმტკიცა გარეშე მტრებს ქართველთა ძალ-ღონე და დიდება და მით განაღდა და დაიჭრა აუჩინებელ მტერთაგან თვისნი ქვეშევრდომნი, ამიტომ შინაური ცხაკრება ქართველთა ფაქტუთ და თავისუფლად აღუვადა და მიაღწია უმაღლეს წიქტილამდე რამდენადაც თამარი იყო ძლიერი დი დონიერი სამხედრო საქმეებში იმდენად და უფრო მეტად ხალხს მმართველი. იმან დამართა მრავალი სკოლები, რომლებშია იზრდებოდნენ ქართველთა ემაწილები; იმან აღაშენა მრავალი სკოლები და ეკლესიები ყველა მთიულ ხალხებისათვისაც; ოსეთში, ჩეჩქესეთში. ლეკეთში და ყველგან მთაში არიან ნაშთნი ეკლესიებისა, ციხეებისა მრავალ თამარის მოღვაწეობისა ყველა ამ ველურ ხალხების განანათლებლად. იგი იყო კარგი აღმაშენებელი ქვეყნისა: არც ერთი გუთხე საქართველოსა არ დაჩხენიდა, რომ იქ თამარი არ ყოფილიყო და არ დაეტოვებინა თვისი კვალი. ზოგან იგი აშენებდა ქალაქებს, ზოგან ციხეებს, ზოგან ეკლესიებს, ზოგან გაჭყავდა არხები, ზოგან გაღავნები, ერთის სიტყვით, ყველგან და ყველგან უწავდებოდა ხელი თამარისა. ამდენის ღვაწლისაგამო ესლაც თვით ჩვენ მტერ

მთაულ ლეკთაგან და სხვა ხალხთაგან იდიდების „ფერი თხი-
ჩაი“ (თამარ-მეფე).

ამ ნაირად თამარის დროს დაუღვა ვეკელა ქვეშევრდომ
ხალხებს, საზოგადოთ, და ქართველებს, კერძოდ საქრეს ეპი-
ქა. თამარი იყო მფარველი და პატრონი ყოველი ნიჭისა. ნა-
ჭიერნი და გონიერნი მუდამ წინ წამოწეულნი, და პატავში
იყვნენ. უკეთესი ადგილები სამსახურში მათ ევაკათ. ეს იყო
მიზეზი, რომ ქართველთ სულიერი და გონებითი ნიჭიერებანი
გაიფრქვინენ და ფართოთ გაიშალნენ. ამ დროს დაიბადნენ შუ-
სანაშენი და უნიჭიერესნი მწერალნი: მასე ხონელი, დილარ-
კეთ სარგის თმოგველი; პოეტნი: აბდულ მესია შავთელი, ჩა-
ხრუხაძე და რუსთაველი შოთა. ამ პირთ უკვდავი ჭქმნეს ჩვენი
ლიტერატურა

მასე ხონელი — ხონის მცხოვრები, იყო თამარას კმინი
ამან დასწერა რომანი «ამირან-დარეკვანახანი».

დილარკეთ სარგის თმოგველი — სოფ. თმოგვიდამ (ახალ-
ციხის მხარეში). ამან სპარსულიდამ გადმოსთარკმა რომანი
«ვის-რამიანი» ამჟამ მოთხრობა ვისზე და რამინზე.

აბდულ მესია შავთელი — სეკრეტარი თამარისა. ამან დას-
წერა მშუენიერი ლექსი სადიდებულად დავითისა. ამნაირივე ლექსი
დასტოვა მეფის საზინ-დარმა ჩახრუხაძემ სადიდებულად თამარისა.

შოთა რუსთაველი დაიბადა მცირე სოფელ-ქალაქში — რუს-
თაუში (ახალციხის მხარეში). იმან მიიღო უმაღლესი განათლება
ათ. ნაში ღ შეშდევ უზირკულესი ადგილიეკავა სამეფოში ამან დასწერ-
ა «ვეფხისტყაოსანი». ეს სახელი იმიტომ ჭქიან ამ პოეტისა,
რომ მისი (პოემის) უმთავრესი მოქმედი პირი — ტარეელი
იტყამდა ვეფხის ტყავს.

მასე ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

დაგვიგზავნე პოეზიები.

შეწებულსა, სახელსა ავანსურს
კანსა მამადსა უცნობი შირი,
დაბაჯის ხსითა გადებსა შირიკა,
თითქმე საქმე აქვს რამ გასაჭირი.

გვრესათ ვსთქვი ხემთვის გაუღეთ კარი,
იქნება ჭირით არის დამთურადი,
ვეუწყლოთ რამე. რითიც შევიძლოთ,
და არ გავხადლოთ მტრის გასახარი.

გაუღეს კარი, თავს წამამადგა
ვიღაც უცნობი წიგნებით ხელში*)
ღიმილით მათხრა: აი შესრულდა,
რაც რამა გვეთანდა წინათ სხსეში.

გადმამწვდა შორით და მომწოდა —
აი, მიაღე შენა «იმედი» **)
ნუ გეშინიან — კარგათ იქნება,
ჰსრ არ გამქრალა მთლათ შენა ბედა.

*) ფონტალიონი, ქართველი კაცი.

***) ახალი გამოცემული უურნალი;

სთქვა ეს სიტყვები, გაბრუნდა ჩქარა,
 დღესაც არ ვიცი სად მიიშალა,
 შეწუხებულია ვიბრუნე გვერდი.
 ხელში ავიღე ჩემი „იმედი“

ზურკოთ ვემთხვიე, მივიკარ გუფსა;
 შვება მიეცა, ვიგრძენ ჩემს სულსა;
 მერმე შევკვიდრე მალაფსა ღმერთსა—
 დიდხან სიტყვებზე ჰქონდეს „ამედსა“.

რაგონრტ რამ სხვები, ესეც არ განქრეს
 შურიით და მტრობით ისევე ჩვენგანა;
 სხვა საქმეებში ცალკე გავსწორდეთ,
 ვის რა საქმე გაქვსთ უწინააღმართანა?!...

ა. თუთაივი.

25 თებერვალს 1881 წ.



1882 წლის ჟურნალ „იმედში“ ხელის მოწერა მიიღება ქ. თბილისში — მხოლოდ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოვსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Вь Тифлисъ, вь редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».

ფასი წლიურის გამოცემისა	გაგზავნით სხვა ქალაქებში და თბილისში შინ მიტანით — — —	8 მან.
ნახევარი წლისა — — — — —		4 მ. 50 კ.
სამი თვისა — — — — —		2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ღირს — — — — —		1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდისთ და სკედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ ძალე გამოგზავნონ.

ვისაც რომელმე ნომრები ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული წიგნები გაგზავნებათ ხელახლად.